MES 4 22 0000944008

25/08/2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 11 აგვისტოს**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

**Join Zoom Meeting**
**https://us02web.zoom.us/j/2234959888**
**Meeting ID: 223 495 9888**
**Passcode: 2022**

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო ) წევრები:**

**ნანა ყუფუნია** - შპს „თბილცემენტ გრუპის" ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;
**შორენა ჯაფარიძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი/საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მაგდა ბოლოთაშვილი -** სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე/საბჭოს მდივანი;
**ქრისტინა რზგოევა -** სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი/საბჭოს წევრი;
**ნატალია კვაჭანტირაძე** - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი** - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
**მარიამ ჩაგელიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტი/საბჭოს წევრი;
**დეა აბულაძე -** სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის "ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის" ქვეპროგრამის "- ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა" - პროგრამული განვითარების კოორდინატორი.
**მარიამ ქუჩულორია -** ა(ი)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
**ნინო კაკულია** - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი/საბჭოს წევრი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**ნინო სტეფანიშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ლონდა მინდიაშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**მაია აბდალაძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნათია მჭედლიძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ კოლეჯი "იბერია"**

ირაკლი ავალიანი - კოლეჯის დირექტორი,
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილი,
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
მურმან კობახიძე -ფინანსური მენეჯერი,
ფატმან ჯიქიძე - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,
იზა ქემოკლიძე - რეესტრის წარმოების სპეციალისტი,
ნონა კაჭარავა - ადამიანური რესურსების მენეჯერი,
ლელა ჩხაბერიძე - იურისტი,
დავით ხელაძე სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი,
ზერიკა უშვერიძე- მატერიალური რესურსების კოორდინატორი,
ლალი ღამბარაშვილი - ხარისხის მართვის სპეციალისტი.

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:**

ნანა შარაბიძე,
ზაირა ბერიძე,
ელენე ბოდაველი,
მაია ომიაძე,
მაია ხურცილავა,
თამარ ლომინაძე,
მამუკა ხოშტარია,

ნანა შათირიშვილი,
მანანა კობალაძე,
ნინო ბოკუჩავა,
გივი დოლიძე,
თამარ ზარანდია.

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი**

საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ კოლეჯ "იბერიას" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. რაზეც პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

**1. სსიპ კოლეჯ "იბერიას" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეებს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა შეფასებების წარდგენა დაიწყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა შარაბიძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ორ ლოკაციაზე მდებარეობა და შესაბამისად, ორი ჯგუფი იყო

გაგზავნილი. მის ჯგუფს წილად ქუთაისის ლოკაცია ხვდა. ექსპერტები დაწესებულებაში ხუთი დღის მანძილზე იმყოფებოდნენ. ექსპერტმა წარმოადგინა ქუთაისის ლოკაციაზე დაფიქსირებული შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

**ინსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციები.**
**შესაბამისობის რეკომენდაციები:**
5.1.2.1. დაწესებულებამ საევაკუაციო კიბის მონტაჟი დაასრულოს შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (01.09.2022წ.)
5.1.2.3. დაწესებულებამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება დაასრულოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (01.09.2022წ.)

**განმავითარებელი რეკომენდაციები:**
1.1.1.3 სასურველია, ხედვა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ასახავდეს რისკენ ისწრაფვის დაწესებულება და განისაზღვროს ხედვაში გაწერილი მისწრაფებების მიღწევის სავარაუდო პერიოდი.
1.1.1.4 სასურველია, სამომავლოდ, სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას /ცვლილებისას, შეხვედრის ოქმებში სამუშაო ჯგუფის წევრებს (დაინტერესებულ მხარეებს) სახელისა და გვარის გარდა მიეთითოს პოზიცია/სტატუსი, მათი იდენტიფიცირებისა და ჩართულობის დასადასტურებლად.
1.2.2.1 სასურველია, დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელოს საანგარიშო წლის განმავლობაში, გონივრულ ვადაში, ნაცვლად მარეგულირებელში მითითებული წლის ბოლოსა, რათა არსებობის შემთხვევაში დროულად გამოავლინოს შეუსაბამობები და უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობა.
1.2.2.1 სასურველია, დაწესებულების მიერ შესრულებული ანგარიში იყოს უფრო კომპლექსური ხასიათის, ვინაიდან, შეფასება ძირითადად მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას შესრულებულ და ვერ/არ შესრულებულ საკითხებზე. არ არის გაანალიზებული შესრულებული ამოცანების ხარისხი, ასევე შეუსრულებელი ნაწილის შეუსრულობლობის მიზეზები - საჭიროა თუ არა იგივე ამოცანების მომავლი წლის გეგმაში გადატანა/კორექტირება, რაც დაეხმარება დაწესებულებას სამომავლო გეგმის უკეთ დაგეგმვასა და ეფექტიანობის გაზდაში.
4.2.1.5 სასურველია, დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წარდგენისა და განხორციელების პროცედურა
5.1.2.4. დაწესებულებამ დარაჯების შრომითი ხელშკერულებით გაწერილი სამუშაო დრო განსაზღვროს შემუშავებული ცვლიანობის განრიგის შესაბამისად და დასვენების ხანგრძლივობა გაწეროს საქართველოს შრომის კოდექსის 24 - ე მუხლის მე - 4 - ე და მე - 7 - ე პუნქტების შესაბამისად.
5.2.1.4. სასურველია, დაწესებულებამ საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის შეფასება განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შესაბამისად და აღნიშნული ასახოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და ხარისხის სამოქმედო გეგმებში .
5.2.2.1. დაწესებულებამ გაასწოროს საქმისწარმოების წესით გაწერილი ხელშეკრულებების აღრიცხვის მექანიზმში, სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესში და შემოსულ კორესპონდენციაზე დაკავშირებული რეაგირების პროცედურაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობები.
5.2.3.3. სასურველია , საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში ასახოს ინფორმაციის გაცემის პროცედურა.
5.2.3.5. სასურველია დაწესებულებამ შემდგომში აწარმოოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი.
5.2.3.6. სასურველია, დაწესებულებამ უზურნველყოს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება.

**განმავითარებელი რეკომენდაციები ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის:**
2.1.1.1. სასურველია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების გზამკვლევი დოკუმენტით.
2.1.1.3. სასურველია , კოლეჯმა არსებული რეგულაციის მიხედვით გაწეროს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა რათა თვალსაჩინო იყოს დღეის მდგომარეობით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის თავსებადობა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან .
2.1.1.8. სასურველია, პროგრამის დამტკიცების/მასში ცვლილებების შეტანის დრო, ბრძანებაში მითითებულ იქნას რომელი მიღების პროფესიულ სტუდენტებს შეეხება აღნიშნული ცვლილება და რომელი გააგრძელებს სწავლას მილევად რეჟიმში დარჩენილი პროგრამით.

**განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამასთან - "კულინარიის ხელოვნება" მიმართებით:**
2.2.1.3.სასურველია , მაღალტექნოლოგიური , დარგობრივი სპეციალისტის დამატება ან არსებული კადრების გადამზადება მოქმედ რესტორნებში ან / და პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე .
2.2.1.4. სასურველია , პროგრამის ხელმძღვანელს უშუალო შემხებლობა ჰქონდეს მოქმედ სამზარეულოსთან , რათა მეტი სიზუსტით მოხდეს სტუდენტებისთვის სამზარეულოს ფუნქციონირებისა და სტრესულ გარემოში მოქმედების ინსტრუქციების მიწოდება.

**განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამაზე - "მეხილეობა-მეჩაიეობა":**
2.2.1.1. სასურველია, შემდგომში დაწესებულების ჩართულობით მოხდეს პარტნიორ ორგანიზაციასა და სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში სტუდენტების უფლებების, წახალისების ფორმებისა და სხვა პირობების გაწერა;
2.4.1.1 სასურველია, კოლეჯის ადმინისტრაციის და პარტნიორი ორგანიზაციის მიერ პერიოდულად გაკონტროლდეს პროფესიული სტუდენტის მიერ ჩანაწერების ჟურნალის მეტი სიზუსტით წარმოება.

**ბაღდათის ფილიალის განმავითარებელი რეკომენდაციები:**
4.1.2.2. ბაღდათის ფილიალის ადმინისტრატორის ფუნქციების გადახედვა;
4.2.1.5. სასურველია, დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წარდგენისა და განხორციელების პროცედურა
5.1.2.4. განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ დარაჯების შრომითი ხელშკერულებით გაწერილი სამუშაო დრო განსაზღვროს შემუშავებული ცვლიანობის განრიგის შესაბამისად და დასვენების ხანგრძლივობა გაწეროს საქართველოს შრომის კოდექსის 24 - ე მუხლის მე - 4 - ე და მე - 7 - ე პუნქტების შესაბამისად.
5.2.1.4. შესაბამისობაში იქნას მოყვანილი IT სპეციალისტის მიერ შესრულებული საქმიანობა და პასუხისმგებლობა სასწავლო ფილიალების მიხედვით.

**განმავითარებელი რეკომენდაციები ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის:**
2.1.1.1. სასურველია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების გზამკვლევი დოკუმენტით.

2.1.1.3. სასურველია , კოლეჯმა არსებული რეგუალციის მიხედვით გაწეროს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა რათა თვალსაჩინო იყოს დღეის მდგომარეობით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის თავსებადობა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან .
2.4.2.2. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ყოველ ოთხ თვეში ერთხელ ვერიფიკაციის ჩატარება არარეალურია ვერიფიკაციის პროცესის შრომატევადობიდან გამომდინარე , რაც გასაუბრებისას ასევე დაადასტურა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა და აღნიშნა , რომ თვითონაც ხვდებოდა, რომ ყოველ ოთხ თვეში ვერ განახორციელებდა ვერიფიკაციის პროცესს. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ განსაზღვროს ვერიფიკაციის რეალური პერიოდი , რათა არ მოუწიოს საკუთარი რეგულაციის დარღვევა.

**განმავითარებელი რეკომენდაცია "თმის მომსახურებასთან" მიმართებით:**
2.2.1.1. რეკომენდირებულია გამწოვების შეძენა.

**განმავითარებელი რეკომენდაცია პროგრამასთან - "ბუღალტრული აღრიცხვა":**
2.2.1.2. პროგრამის მდგრადობის მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს ერთი დარგის პედაგოგი.

ნანა შარაბიძემ მეოთხე სტანდარტი დეტალურად გაიარა, რადგან, მისი ყველა კომპონენტი დასკვნის პროექტში შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. აღნიშნული შეუსაბამოდ იყო შეფასებული, რადგან დაწესებულებას წარმოდგენილი არ ჰქონდა გაუმჯობესების გეგმა. ვიზიტის დროს სიტყვიერად ეცნობათ ექსპერტებს, რომ მიმდინარეობდა აღნიშნულზე მუშაობა, მაგრამ დოკუმენტური დადასტურება არ არსებობდა. ქალბატონმა ნანამ აღნიშნა, რომ დაწესებულება ახალ სტრუქტურაზე მუშაობს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის მოხდა გაუმჯობესების გეგმის წარმოდგენა, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს მოხდა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, როდესაც დასკვნის პროექტი გაეცნო დაწესებულებას.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, თავად დაწესებულებამ როგორ შეაფასა ეს კომპონენტები და სტანდარტები. რაზეც პრეზენტატორმა უპასუხა, რომ შეფასებული ჰქონდათ, როგორც სრულად შესაბამისი. თვითშეფასებაში მარეგულირებელი დოკუმენტების ნახევარზე მეტი განახლებული ჰქონდათ და სრულად ასახავს იმ მიმდინარეობას, რომელიც ამჟამად უნდა არსებობდეს სტანდარტთან მიმართებაში. რაც შეეხება სტრუქტურას, თანამშრომლები ზუსტად იმ ახალი მოთხოვნების შესაბამისად, რასაც საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს, თუ როგორი საშტატო და სტრუქტურული ერთეულები უნდა ჰქონდეთ, მოაზრებული იყო, მაგრამ არ იყო დამტკიცებული. ექსპერტებისთვის ეს რთული პროცესი იყო, რადგან ახალი და წინა პროცესის დოკუმენტების შემოწმება ერთდროულად უხდებოდათ. ამდენად, ძირითადად მეოთხე სტანდარტის შეუსაბამობა სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების შეუსაბამობის გამოა გაწერილი.

დამაზუსტებელი ტიპის კითხვა დასვა ნანა ყუფუნიამ. მან განაცხადა, რომ მეოთხე ინდიკატორი გულისხობდა სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრულობას. მას აინტერესებდა, სტრუქტურული ერთეულები არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული თუ ჰქონდათ გაწერილი სტრუქტურული ერთეულები, მაგრამ პირების პოზიციები არ ჰქონდათ განსაზღვრული.

პრეზენტატორმა პასუხის გაცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მაგალითით დაიწყო და აღნიშნა, რომ ამ სამსახურის ფუნქციებიც არ იყო განსაზღვრული, ამასთან არ არის ხარისხის

უზრუნველყოფის სპეციალისტი, როგორც ცალკე პოზიცია. გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული სტუდენტური სერვისების კოორდინატორის ფუნქციები. აღნიშნული თანამდებობის პირები არ ჩანან დებულებაში, თუმცა, დაწესებულებაში უკვე მიღებული ჰყავთ თანამშრომლები, რომლებიც უკვე ეწევიან გარკვეულ საქმიანობას.

ნანა ყუფუნიამ განაცხადა, რომ დებულებაში შეიძლება უბრალოდ ასახული იყოს ის, თუ რა ფუნქციებს ასრულებს ხარისხის სამსახური.

ნანა შარაბიძემ განაცხადა, რომ დებულებაში მოცემულია მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რადგან იმ დროისთვის მხოლოდ აღნიშნული თანამდებობა არსებობდა კოლეჯში, მხოლოდ შემდგომ გაფართოვდა და ჩამოყალიბდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მთლიანად. ამასთან ამ ეტაპზე შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა, მისი მოქმედების ინსტრუქცია. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დოკუმენტები შექმნილია, რეალურად სტრუქტურაში როგორც სამსახური, ჯერ არ ჩანს, ჩანს მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, თუ როდის ჩამოყალიბდა სტრუქტურა, რაზეც პრეზენტატორმა განაცხადა, რომ სტრუქტურა ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა დაწესებულების წარმომადგენელმა. კოლეჯის დირექტორმა განაცხადა, რომ ნათქვამი სრულიად შეესაბამებოდა სიმართლეს და დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰქონდა “სამსახურები”, რის შემდეგაც ისაუბრა კოლეჯის გარშემო არსებულ გარემოებებზე. კერძოდ, აზიის განვითარების ბანკი კოლეჯის ორ ლოკაციაზე (ქუთაისში ანჯაფარიძის და ნიკეას ქუჩებზე) აპირებს ჰაბის შექმნას ანუ კოლეჯი უნდა გარდაიქმნას უნარების ჰაბად, რაც ითვალისწინებს 10-15 საკვალიფიკაციო პროგრამის დამატებას და 30-მდე მოკლევადიანი პროგრამის დამატებას, ამიტომ მიმდინარეობს მუშაობა იმაზე. რომ შეიქმნას ისეთი სტრუქტურა, რომელიც ამ ჰაბის მოთხოვნებს შეასრულებს. სწორედ ამ გარემოების გამო არის გამოწვეული აღნიშნული პრობლემა. შესამუშავებელი პროგრამების ჩამონათვალი დაწესებულებას უკვე დაზუსტებული აქვს, ხუთ მილიონიანი პროექტია აზიის განვითარების ბანკის, დაწესებულებას უკვე შეუძლია აღნიშნულზე მუშაობა და 15 დეკემბრისთვის ყველაფერი დასრულებული იქნება.

ქალბატონმა შორენამ იკითხა, თუ ჰყავდათ აყვანილი ადამიანები, რომლებიც ახალ სტრუქტურას მოერგება. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალი თანამშრომლები არ ჰყავთ მიღებული ბოლო პერიოდში, რაზეც იყო საუბარი, მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის მიღება რამდენიმე წლის წინ მოხდა. ქალბატონ შორენას აინტერესებდა, ვის მიერ იქნებოდაა დაფინანსებული შემდგომში ახალი აყვანილი ადამიანები, სამინისტროს მიერ თუ აზიის განვითარების ფონდის მიერ. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აზიის განვითარების ფონდი უზრუნველყოფს შენობების აშენებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობას, ხოლო სტრუქტურა სამინისტროს პრეროგატივაა.

მეოთხე სტანდარტთან გამოკვეთილ შეუსაბამობებთან მიმართებით, საბჭოს თავმჯდომარემ პრეზენტატორს კითხვით მიმართა, რადგან მსგავსი პრობლემა პირველი არ იყო, რა ესახებოდა მას ამ პრობლემის მიზეზად: ადამიანური რესურსების ნაწილში პერსონალი არ იყო საკმარისი, არ იყო ნება, თუ რა ფაქტორი მოქმედებდა. პრეზენტატორმა განაცხადა, რომ მისი პასუხი შეიძლება საკმაოდ სუბიექტურიც ყოფილიყო, მაგრამ სადაც კი მოუწია მას ურთიერთობა

უშუალოდ ადამიანური რესურსების სტანდარტთან მიმართებაში, სავარაუდოდ, მაინც კვალიფიციური კადრების ნაკლებობასთან გვაქვს საქმე ადამიანური რესურსების მიმართულებით.

ქალბატონმა შორენამ პრეზენტატორს დაზუსტება სთხოვა პერსონალის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ საკითხზე.

პრეზენტატორმა განაცხადა, რომ ნაწილისთვის ეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის შექმნილი, ხოლო ნაწილისთვის გადახედვას საჭიროებს, რადგან ფრაგმენტულადაა შემუშავებული, არ ჩანს და არ იკვეთება ერთიანი ხედვა. განმარტება გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ თანმიმდევრობა როგორიც უნდა იყოს: ჯერ პოლიტიკის დოკუმენტი, დებულება, მერე უკვე სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები, ამის შემდეგ უკვე პოზიციების, ამის არევა იწვევს ფრაგმენტულობას.

შემდეგი სტანდარტის განხილვაზე გადასვლამდე საბჭოს თავმჯდომარემ შეჯამება გააკეთა,რათა მნიშნელოვანი დეტალები არ დარჩენილიყო ყურადღების მიღმა. პირველი სტანდარტი სრულ შესაბამისობაში იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქმედო გეგმა იყო შესაბამისობაში. სტრატეგია, მისია, ერთმანეთს შეესაბამებოდა და ჰქონდათ სამოქმედო გეგმაც. საბჭოს თამჯდომარეს აინტერესებდა, ამ სამოქმედო გეგმაში შეფასების ნაწილი არ იყო საერთოდ, თანამშრომელთა შეფასება, თუ თარიღი გადმოწიეს, თუ არ იყო როგორ შეფასდა სრულად.

პრეზენტატორმა განაცხადა, რომ წლიური სამოქმედო გეგმა შემუშავებული აქვთ, რომელშიც განსაზღვრული იყო, რომ საჭიროებათა კვლევას ჩაატარებდნენ 2022 წლის ბოლომდე და ამის შემდეგ 2023 წელში გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით შედგებოდა სამუშაო გეგმა, როგორ განხორციელდებოდა ტრენინგები და ასე შემდეგ. რაც შეეხება შეფასების საკითხს 2022 წლის დოკუმენტში, თებერვალში შეიმუშავეს ეს დოკუმენტი და თებერვალშივე შედგა სამოქმედო გეგმა; ერთმანეთს სულ რამდენიმე დღით უსწრებდა და არ იყო ასახული ამ გეგმაში. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების შეფასება და დაგეგმეს, რომ წლის ბოლომდე განახორციელებენ საქმიანობის შეფასებას.

მას შემდეგ, რაც ნანა შარაბიძემ დაასრულა ქუთაისის ლოკაციაზე სტანდარტების შესაბამისობის განხილვის საკითხი, მეორე სტანდარტთან მიმართებით, პროგრამების შესაბამისობის განხილვამდე პრეზენტაცია ზაირა ბერიძემ განაგრძო იგივე სტანდარტების მიმოხილვის მიზნით, ოღონდ ამჯერად ბაღდათის ლოკაციაზე. ორივე ჯგუფის თავმჯდომარეებმა აღნიშნეს, რომ მათ იდენტური მიგნებები და შეჯერებული რეკომენდაციები ჰქონდათ. ზაირა ბერიძემ ყურადღება მხოლოდ ძირითად განსხვავებებზე გაამახვილა, რაც ქუთაისის ლოკაციის შედეგებისგან განსხვავდებოდა.

პრეზენტაცია უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამების მიმოხილვით გაგრძელდა. ნანა შარაბიძემ აღნიშნა, რომ ქუთაისში 13 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება, ხოლო ბაღდათში 4 საგანმანათლებლო პროგრამა (რომლებიც იგივეა, რაც ქუთაისში). ქალბატონმა ნანამ იმ 13 საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარადგინა ინფორმაცია, რომლებიც ქუთაისის ორ ლოკაციაზე ხორციელდება. დაწესებულებას ეს პროგრამები წლების წინ აქვს დამატებული, შესაბამისად უკვე აქვს მათი განხორციელების გამოცდილება. თუმცა, იყო ორი პროგრამა, რომლებიც დაწესებულებამ დაიმატა წინა წლის სექტემბერში და მაშინდელი ვიზიტის დროს ამ პროგრამებთან მიმართებაში მეტწილი შესაბამისობის გადამოწმება უნდა მომხდარიყო, როგორც სრული შესაბამისობა. ესენია ვებტექნოლოგიების და შედუღების პროგრამები. ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო სტეფანიშვილმა დაამატა, რომ ამ პროგრამებზე

დანიშნული იყო მონიტორინგი, რომლის პერიოდი თითქმის ემთხვეოდა ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდს. ამიტომ მონიტორინგი არ შედგა, რე-ავტორიზაციის პროცესის დროს ამ ყველაფრის შემოწმება ისედაც მოხდებოდა.

ქალბატონმა ნანამ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს "ვებტექნოლოგიების" პროგრამაზე არანაირი პრობლემა არ იყო, ამიტომ შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი. ხოლო შედუღების პროგრამასთან მიმართებით შეფასება კვლავ დარჩა, როგორც მეტწილად შესაბამისი, იმ მიზეზით რომ ვიზიტის მომენტისთვის, ის სამუშაოები, რომელიც იმ დროისთვის დასრულებული უნდა ყოფილიყო, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. რაც შეეხება განმავითარებელ რეკომენდაციებს, ისინი ყველა პროგრამისთვის საერთო იყო, ამიტომ პრეზენტატორმა ერთად წარადგინა.

2.1.1.3. სტანდარტთან დაკავშირებით დამატებითი განმარტების გაკეთება გახდა საჭირო, რამდენადაც საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რის მიხედვით აქვს ახლა გაწერილი კოლეჯს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. როგორც აღინიშნა, წინა წლებში იყო დამატებული რამდენიმე პროგრამა, იმ პერიოდში რა კრიტერიუმებითაც ფასდებოდა მხოლოდ ეს იყო A,B და C სივრცის გამტარუნარიანობა, ნაკლებად იყო ნაგულისხმები ადამიანური რესურსები. შემდეგ შეიმუშავეს სრული რაოდენობის გათვლის მეთოდოლოგია, ექსპერტებმა გადაამოწმეს ამ მეთოდოლოგიის მიხედვით ყველა პროგრამის ზღვრული რაოდენობის გათვლა და ისინი აკმაყოფილებენ; მაგრამ რა ფორმითაც ეს იყო გაწერილი წარმოდგენილი იყო ძველი ფორმა და ამიტომ მისცეს ექსპერტებმა ეს რეკომენდაცია.

მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობაშია ათი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთანაც მიმართებაში ზოგადი რეკომენდაციების გარდა დამატებით სხვა რეკომენდაცია არ გაცემულა.

საგანმანათლებლო პროგრამა "კულინარიის ხელოვნება"-ზე 2.2.1.1. ქვესტანდარტთან მიმართებით გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია. ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ რამდენიმე დანადგარი რომელიც ჩამონათვალშია მითითებული, არ არის დამონტაჟებული. გარდა ამისა, არასრულია ვენტილაციის სისტემაც. დაწესებულებამ წარმოადგინა განვითარების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც 15 დეკემბრამდე ყველაფერი გამოსწორდება.

საგანმანათლებლო პროგრამა "შედუღება"-სთან მიმართებითაც გამოვლინა შეუსაბამობები. C გარემო იყო შეუსაბამოდ შეფასებული, ვინაიდან ვენტილაციის სისტემა არ იყო ისეთი გამტარუნარიანობით, როგორსაც პროგრამა ითვალისწინებდა. არგუმენტირებული პოზიციის დროს დაწესებულებამ უკვე წარმოადგინა ფოტომასალა, რომელშიც ეს სამონტაჟო სამუშაოები დასრულებულია, მაგრამ დასრულების საბოლოო ვადად გაწერილი აქვთ 1 სექტემბერი. ვინაიდან ექსპერტებს უფლება არ აქვთ შემდგომ პროცესში რაც ნახეს ფოტო მასალით ეგ გამოიყენონ, რადგანაც რეალურად არ უნახავთ, ამიტომ აღნიშნული შეაფასეს, როგორც მეტწილ შესაბამისი.

პროგრამების მიმოხილვის შემდეგ ნანა შარაბიძემ მსმენელებს ფოტო მასალა გაუზიარა, რომელზეც ამ პროგრამების განხორციელებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყო აღბეჭდილი.

ნანა ყუფუნიას აინტერესებდა ამ 13 პროგრამიდან ქუთაისის ლოკაციაზე საერთო კვოტა რამდენი ჰქონდათ განსაზღვრული, რამდენია აქტიური სტუდენტი და რომელ პროგრამებზე ჰყავთ ყველაზე მეტი სტუდენტი. რაზეც პრეზენტატორმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია წარადგინა და აღნიშნა, რომ 2021 წლის მიღებაზე ინფორმაციის ტექნოლოგიაზე ქვოტა იყო 25,

ჩაირიცხა 25 და აქტიური სტუდენტია 24. პროგრამაზე "კომპიუტერული ქსელები და სისტემები" ჩაირიცხა 14 და აქტიურია 8 სტუდენტი, ქვოტა ჰქონდათ 15. ხის დამუშავებაზე ჩაირიცხა 10 სტუდენტი, აქედან 6 აქტიურია, მეშვიდე კი გაცვლითი პროგრამითაა წასული საზღვარგარეთ. საერთო ჯამში, კოლეჯს აქტიური სტუდენტები მაინც ჰყავთ.

ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯომარემ პრეზენტატორს სთხოვა, რომ პრეზენტაციის შემაჯამებელი სურათი მოემზადებინა, რის შემდეგაც კითხვით გადავიდა დარგის ექსპერტებთან რამის დამატება ხომ არ სურდათ.

დარგის ექსპერტმა მანანა კობალაძემ საუბარი დაიწყო სამკერვალო წარმოებაზე და აღნიშნა რომ ორივე ლოკაციაზე სამკერვალო წარმოების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის მფლობელობაში არსებული თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტებთან. აგრეთვე საგანმანათლებლო რესურსიც და ადამიანური რესურსიც არის დამაკმაყოფილებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დარგის ექსპერტების ხედვის ჩამოყალიბება ძალიან მნიშნელოვანია პროგრამებთან მიმართებით, ამიტომ სურდა თითოეული მათგანის მოსაზრების მოსმენა.

ქუთაისის ლოკაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა დღეებში ყველა დარგის ექსპერტთან ჰქონდა გასაუბრება. ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა მაგული მებონია, რომელიც როგორც ბაღდადის ისე ქუთაისის ლოკაციაზე ელექტროობის პროგრამას აფასებდა, მისი დანაბარები გააჟღერა ნანა შარაბიძემ. მისი განცხადებით, დარგის ექსპერტს არ ჰქონდა არანაირი პრეტენზია, პირიქით ძალიან კმაყოფილი იყო ყველაფრით. საერთო ჯამში, პროგრამები გამართულად მიმდინარეობს.

ნანა შარაბიძემ შემდგომ ხის მხატვრული დამუშავების დარგის ექსპერტი მამუკა ხოშტარია წარადგინა, ვისთან ერთადაც დაესწრო საამქროში მეცადინეობებს. მან აღნიშნა, რომ ბატონი მამუკა სხვა დროსაც ნამყოფი იყო აღნიშნულ საამქროში, C გარემოში იმდენად კარგად იცოდა ყველაფერი სად რა იყო, როგორ მიმდინარეობდა რომ მეგზურობასაც უწევდა, მისთვის ერთგვარი გიდის როლი შეასრულა. ბატონმა მამუკამ აღნიშნა, რომ სასწავლო გარემოში ყველაფერი ნორმალურადაა, სტანდარტის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რითია გამოწვეული ის ფაქტი რომ მხატვრულ დამუშავებაზე ყველაზე ცოტა სტუდენტი ჰყავთ, 6 აქტიური სტუდენტი 15-ის ნაცვლად.

დარგის ექსპერტის განცხადებით, აღნიშნულზე მეტი სამუშაო ჰქონდა კოლეჯს, მოთხოვნა უნდა ყოფილიყო მეტი. ექსპერტმა პროგრამაზე სტუდენტთა ნაკლებობის მიზეზად ადამიანური რესურსების ნაკლებობა დაასახელა და აღნიშნა, რომ გაზაფხულის მიღებაზე ისედაც მცირე მოთხოვნა იყო და დარგის ექსპერტის რწმენით შემოდგომის მიღებაზე უფრო მეტი სტუდენტი ეყოლებათ.

ამის შემდეგ საუბარი განაგრძო დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ, რომელიც ორ ლოკაციაზე იმყოფებოდა (ქუთაისში და ბაღდათში). მან უპასუხა საბჭოს თავმჯდომარის კითხვას, რომელიც ამ მიმართულებით ბევრი სტუდენტის შემდგომ დასაქმებას ეხებოდა. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქუთაისში მოთხოვა ძალიან დიდია. იგი თავად მართავს ერთ-ერთ გვერდს თმის მომსახურების სპეციალისტებისთვის, სადაც 6000-ზე მეტი წევრი ჰყავს, ამ გვერდზე უამრავი განცხადებაა ქუთაისიდან თმის მომსახურების სპეციალისტების

მოთხოვნის. მისი აზრით, იმდენი სპეციალისტი არ ჰყავთ, რამდენიც მოთხოვნაა. მისი ინფორმაციით, რამდენიმე წელი ამ პროგრამას არ ახორციელებდნენ, ამან კი ბაზაში დეფიციტის გაჩენა გამოიწვია. ამას გარდა, დეფიციტის გაჩენა საქართველოდან კადრების გადინებამ, ქუთაისის ბაზაზე კვოტა 15-ია, ხოლო აქტიური სტუდენტი 11 ჰყავთ, რაც დარგის ექსპერტის ხედვით არაა საკმარისი. დარგის ექსპერტი პერსონალის განვითარებაზე ზრუნვის საკითხსაც შეეხო. მან აღნიშნა, რომ პერსონალს არ მიუღია არავითარი განმავითარებელი ტრენინგი 5-10 წლის განმავლობაში. აღნიშნული ფაქტი არასახარბიელოა, რადგან ეს დარგი ისევე როგორც სხვა დარგების შემთხვევაში ვითარდება; თანამედროვე ტექნოლოგიები, ბაზარი, სიახლეები გამოდის წელიწადში ორ სეზონზე მაინც. ამიტომ შეუძლებელია დარგის სპეციალისტმა დააკმაყოფილოს თანამედროვე მოთხოვნები თუ მის კვალიფიკაციაზე ზრუნვა არ განხორციელდა. დარგის ექსპერტის თქმით, მასწავლებლები არ მუშაობენ სალონებში სპეციალობით, რაც ბაზრიდან სიახლეების წამოღების შესაძლებლობას მისცემდა. მისი ხედვით, საჭიროა მოთხოვნა იყოს ისეთი, რომ დარგის სპეციალისტს შეხება ჰქონდეს დარგთან მინიმალური დატვირთვით მაინც. მან ასავე გააჟღერა რჩევა, რომ სტუდენტები სწავლის დამთავრების შემდეგ დატოვონ მასწავლებლებად, იმ შემთხვევაში თუ მათ სალონში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება ექნებათ, რადგან პრაქტიკული გამოცდილება ახალ უნარებს მისცემთ მათ.

დარგის ექსპერტის, გივი დოლიძის განცხადებით, შედუღების პროგრამა შეფასებული იყო როგორც მეტწილი. ამჟამად საჭირო ინვენტარი სრულად იყო დამონტაჟებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, არსებულ პირობებში თუ იყო შესაძლებელი ინდიკატორის (2.2.1.1.) სრულად შესაბამისად ჩათვლა, ვინაიდან ყველაფერი უკვე დამონტაჟებულია.

დარგის ექსპერტმა განცხადა, რომ აღნიშნული ინვენტარი, უკვე დამონტაჟებული, იხილა ფოტომასალის სახით, მისი მოსაზრებით უკეთესი იქნებოდა აღნიშნული გადამოწმებულიყო ადგილზე.

შემდეგ "ბუღალტრული აღრიცხვის" დარგის ექსპერტმა მაია ხურცილავამ გააკეთა თავისი შეფასება. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ქუთაისშიც და ბაღდათშიც. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ამომწურავად ისაუბრა ინსტიტუციური სტანდარტების შეფასებაზე, ასევე პროგრამულ ნაწილზე და გამოიტანა განზოგადებული მიგნებები. მან აღნიშნა, რომ პროგრამები ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პერსონალით,ყველა მათგანი პრაქტიკასთანაა მჭიდრო კავშირში აღნიშნულ პროგრამაზე. სტუდენტებიც საკმაოდ აქტიურები და კმაყოფილები იყვნენ სერვისების ხელმისაწვდომობით, სწავლებით, მხარდაჭერით. ბაღდათის ლოკაციაზე ერთ-ერთმა სტუდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კოლეჯის მხარდაჭერით ის უკვე დასაქმებულია ადგილობრივად ერთ-ერთ ორგანიზაციაში. ასევე ხაზგასასმელია ქუთაისის ლოკაციაზე ექსტრა-კურიკულურ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობით, მათ სხვადასხვა პროექტებში აქვთ მონაწილეობა მიღებული, დარგის ექსპერტის ცნობით, ტურიზმის მიმართულებით გრანტიც აქვთ მოპოვებული. ორივე ლოკაციაზე თვითშეფასების ფარგლებში წარმოდგენილი იყო პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულება, თუმცა პროგრამაში და თანდართულ მოდულებში ეს აღნიშნული არ იყო. ექსპერტებმა ერთ-ერთ რეკომენდაციად ისიც დაწერეს, რომ ეს პროგრამის ძლიერი მხარეა. ინტერვიუს შედეგად ქუთაისის ლოკაციაზე დაადასტურეს სტუდენტებმა და პროფესიულმა პედაგოგებმაც, რომ პროფესიულ პრაქტიკასთან განახორციელეს გაცნობითი პრაქტიკა ერთ-ერთ ორგანიზაციაში, თუმცა ეს არაა აღნიშნული პროგრამაში. ვინაიდან აღნიშნული შეიძლება წარმოჩინდეს ძლიერ მხარედ, სასურველია შეიტანონ პროგრამაში. ბაღდათის პროგრამასთან მიმართებით ექსპერტებს ერთი

რეკომენდაციაც აქვთ, კერძოდ, პროგრამა უზრუნველყოფილია განმახორციელებელი პერსონალით, თუმცა დარგის ექსპერტის თქმით , სასურველია დაემატოს ერთი დარგის სპეციალისტი, ვინაიდან პროგრამა არის 100 კრედიტიანი და ერთ წელიწადში ვერ ხდება განხორციელება. ყოველწლიურად 15 მსმენელის მიღების შემთხვევაში გარკვეული მოდულების ზედდება რომ მოხდება, არ მოხდეს პედაგოგის გადატვირთვა, რომელიც ამავე დროს პრაქტიკოსიცაა. ექსპერტებს ამ პროგრამებზე ჰქონდათ კიდევ ერთი მიგნება, რომ მიზანშეწონილია აქტუალურობის შეფასება დღეის მდგომარეობით, თუნდაც არსებული მონაცემებით, კვლევის გაკეთება, ანალიზი. სხვა მხრივ პროგრამა დადებითადაა შეფასებული და სრულყოფილია.

შემდგომ ისაუბრა დარგის ექსპერტმა თამარ ლომინაძემ, რომელიც სამ პროგრამას აფასებდა. მისი თქმით, საკმაოდ კარგად ხდება იმ პროგრამების განხორციელება, რაც უკვე ხორციელდება. მას ჰქონდა გასაუბრება როგორც სპეციალისტებთან, ასევე სტუდენტებთან. ამასთან, ექსპერტების მხრიდან მასალა იყო გადამოწმებული. რაც შეეხება მესამე პროგრამის “ვებტექნოლოგიების” ნაწილს, ვინაიდან ახალი პროგრამაა, გაიცა გარკვეული რეკომენდაციებიც, კოლეჯის მხრიდანაც არის საკმაოდ დიდი მზაობა და თანხმობა. ამ პროგრამის განხორციელებაში ძალიან მნიშნელოვანია პრაქტიკული მოდული, რომელიც ფაქტობრივად ცოდნის შემაჯამებელია ვების მიმართულებით. რადგან ეს იყო ახალი ამ სასწავლებლისთვის, დარგის ექსპერტმა მათ რეკომენდაცია გაუწია, რომ მოხდეს ამ პრაქტიკული პროექტის ფარგლებში მოძიება, რადგან საკმაოდ დიდი მოთხოვნაა ამ მიმართულებით; უამრავი კომპანიაა რომელსაც სჭირდება ვებსაიტი და არ აქვს იმის საშუალება რომ ამის ანაზღაურება მოახერხოს. აქ ორმაგი სარგებელია, ერთი მხრივ მოიპოვებ ადამიანს რომელსაც უნდა ვებსაიტი, მეორე მხრივ კი სტუდენტი თავისი პირველი პორტფოლიოს პირველ ნაწილს ასრულებს. დარგის ექსპერტის თქმით, აღნიშნული ძალიან კარგი შედეგის გამომღებია. დანარჩენი ყველაფერი საკმაოდ მოწესრიგებულია და არის მზაობა ამ პროგრამების განხორციელებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კულინარიის ხელოვნების დარგის ექსპერტი მოიკითხა, რადგან აღნიშნული პროგრამა მეტწილ შესაბამისად იყო შეფასებული.

ნანა შარაბიძემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ ის ვერ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, თუმცა წინა დღეს მას ესაუბრა და ყველაფერი, რაც თავად აღნიშნა ამ დარგის ექსპერტთან იყო შეთანხმებული და განხილული.

რადგანაც ქუთაისის პროგრამები ამოწურეს, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნული ნაწილის შეჯამება სთხოვა ნანა შარაბიძეს. საერთო ჯამში მეოთხე და მეხუთე სტანდარტებშია მეტ-წილი შესაბამისობა, პირველ და მესამეში სრული შესაბამისობა. კომპონენტების მიხედვით, მეოთხესთან მიმართებაში ყველგან მეტწილია, ხოლო მეხუთე სტანდარტთან 5.1. არის მეტწილი. ამასთან კულინარიას და შედუღებას აქვს მეტწილი შესაბამისობა 2.2. კომპონენტში.

